ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7565151

ნომერი: AR11100443

თარიღი : 16.07.2025

გაცემის თარიღი : 23.07.2025

გაცნობის თარიღი : 23.07.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ორთაჭალჰესის , მიმდებარე ტერიტორია, რიტუალების სასახლის დაბლა; ქალაქი თბილისი , ორთაჭალჰესის მოპირდაპირედ, რიტუალების სასახლის დაბლა.; ქალაქი თბილისი , ორთაჭალჰესის , მიმდებარე ტერიტორია, რიტუალების სასახლის დაბლა, (ნაკვეთი N43/6);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ინასარიძე პ/ნ 01008007119
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 10 ბ. 99

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ისანი, ორთაჭალჰესის მიმდებარე ტერიტორია, რიტუალების სასახლის დაბლა; ქ.თბილისი, ორთაჭალჰესის მოპირდაპირედ, რიტუალების სასახლის დაბლა; ქ.თბილისი, ორთაჭალჰესის მიმდებარე ტერიტორია, რიტუალების სასახლის დაბლა; (ნაკვეთი N43/6); შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების რებრენდინგს, ფერისა და მასალის ცვლილებას (გაბარიტებისა და კონსტრუქციული ელემენტების უცვლელად).

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882021162912 11/03/2021 წ. საკადასტრო კოდი №01.17.13.043.030, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. სექტორი-ისანი, ორთაჭალჰესის მიმდებარე ტერიტორია, რიტუალების სასახლის დაბლა; ქ.თბილისი, ორთაჭალჰესის მოპირდაპირედ, რიტუალების სასახლის დაბლა; ქ.თბილისი, ორთაჭალჰესის მიმდებარე ტერიტორია, რიტუალების სასახლის დაბლა; (ნაკვეთი N43/6); შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების რებრენდინგის, ფერისა და მასალის ცვლილების (გაბარიტებისა და კონსტრუქციული ელემენტების უცვლელად) შესაძლებლობას.
გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.